



ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის



ოქმი № 02

2021 წელი 26 თებერვალი

ქ. ბაღდათი

13:00 საათი

2021 წლის 26 თებერვალს შედგა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა. ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ნოდარი გიორგიძე, ირინა ტყემელაშვილი, ფრიდონ მაჩიტაძე, გვანცა გრძელიძე, გაბრიელ ღიბრაძე, გია სახამბერიძე, სიმონ ჭოლოკავა, გურამი კიკნაველიძე, მათა კვიციანი, მამუკა გორგოძე.

არ ესწრებოდა: გიორგი რობაქიძე, შალვა მშვილდაძე.

მუნიციპალიტეტის მერიიდან სხდომას ესწრებოდნენ:

მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

ნინო მებურიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი სპეციალისტი.

კახა გოგნაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

საკრებულოს აპარატის უფროსი- ნოდარ ებანოიძე.

ნათია ცისკაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ირინე აბაიშვილი - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურდიულ და გენდერული თანასწორობის საკითხებში.

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა: ნოდარ გიორგიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში: „მუნიციპალიტეტის 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულების შესახებ“.

მომხს. ნინო მეზურიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი სპეციალისტი

2. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N 42 2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. გვანცა გრძელიძე- საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“, ფრაქციის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

მომხს. გვანცა გრძელიძე- საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ბაღდათელები მომავლისათვის“ ფრაქციის რეგისტრაციის შესახებ.

მომხს. გვანცა გრძელიძე- საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

5. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზაციო საფასურის განსაზღვრისა და საპრივატიზაციო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივლისის №42 34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი

6. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი

7. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი

8. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საწყისი სააუქციონო ყოველწლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი

დღის წესრიგი დამტკიცდა

მომხრე - 10 წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 10 ბიუროს წევრმა

მ ო ს მ ი ნ ე ს: 1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში: „მუნიციპალიტეტის 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულების შესახებ.

წინა მებურიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი სპეციალისტი, რომელმაც წარმოადგინა 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების კუთხით გაწეული მუშაობის ძირითადი ასპექტები.

აზრი გამოთქვა: სიმონ ჭოლოკავამ, ნოდარ გიორგიძემ

კომისიის დასკვნა ბიუროს წევრებს გააცნო გურამ კიკნაველიძემ - საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

ბიურომ გადაწყვიტა:

აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს 2021 წლის 26 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-10 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 10 ბიუროს წევრი

მ ო ს მ ი ნ ე ს: 2. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N 42 2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

განკარგულების ცვლილების პროექტი და კომისიის დასკვნა ბიუროს სხდომას წარუდგინა: საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ გვანცა გრძელიძემ.

ირინა ტყეშელაშვილმა - საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, იგი დაინტერესდა იმ საჭიროების შესახებ, რისთვისაც მუნიციპალიტეტის მერია ითხოვდა ცვლილებას.

მოთხოვნილ ცვლილებასთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა: მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა კახა გოგნაძემ.

ბიურომ გადაწყვიტა:

აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს 2021 წლის 26 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-10 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 10 ბიუროს წევრი

მ ო ს მ ი ნ ე ს: 3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“, ფრაქციის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

ინფორმაცია ბიუროს სხდომას, ფრაქციის გაუქმების თაობაზე გააცნო საკრებულოს კომისიის თავმჯდომარემ გვანცა გრძელიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ „საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიას განცხადებით მომართა ფრაქციის თავმჯდომარემ ფრაქციის წევრების მიერ ფრაქციის დატოვების შესახებ“.

ბიურომ გადაწყვიტა:

აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს 2021 წლის 26 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-10 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 10 ბიუროს წევრი

მ ო ს მ ი ნ ე ს: 4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ბაღდათელები მომავლისათვის“ ფრაქციის რეგისტრაციის შესახებ.

განკარგულების პროექტი ბიუროს წევრებს წარუდგინა: გვანცა გრძელიძემ-საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, საკრებულოს წევრებმა: გაბრიელ ლიბრაძემ, ზაზა ზივზივაძემ და დიომიდე კიკნაველიძემ, რომლებმაც დატოვეს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“, საკრებულოს იურდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიას მომართეს ახალი განცხადებით და მოითხოვეს ახლად შექმნილი ფრაქციის „ბაღდათელები მომავლისათვის“ რეგისტრაცია. როგორც გ. გრძელიძემ აღნიშნა, კომისიამ გადაამოწმა მათ მიერ წარმოდგენილი ფრაქციის სადამფუძემბლო დოკუმენტაცია და გასცა დადებითი დასკვნა რეგისტრაციისათვის.

აზრი გამოთქვა: გაბრიელ ლიბრაძემ-საკრებულოს წევრი, ფრაქცია „ბაღდათელები მომავლისათვის“ თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ გარკვეული მოსაზრებების გამო არ სურთ საკრებულოში წარმოდგენილი იყვნენ მწვანეების სახელით, რის გამოც დატოვეს როგორც ფრაქცია, ასევე მწვანეთა პარტია და ითხოვენ ახლად შექმნილი ფრაქციის

რეგისტრაციას. როგორც გ. ლიბრაძემ დასძინა, ის და მისი ახლად შექმნილი ფრაქციის წევრები რჩებიან საკრებულოში ქართული ოცნების უმრავლესობაში და მხარდამჭერებად.

ბიურომ გადაწყვიტა:

აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს 2021 წლის 26 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-10 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 10 ბიუროს წევრი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 5. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრისა და საპრივატიზაციო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივლისის №42 34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

განკარგულების პროექტი წარმოადგინა: **მირიან ფულარიანმა - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.**

საკრებულოს კომისიის დასკვნა ბიუროს წევრებს გააცნო- **სიმონ ჭოლოკავამ, საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.**

ბიურომ გადაწყვიტა:

აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს 2021 წლის 26 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-10 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 10 ბიუროს წევრი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 6. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

განკარგულების პროექტი წარმოადგინა: **მირიან ფულარიანმა - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.**

საკრებულოს კომისიის დასკვნა ბიუროს წევრებს გააცნო- **სიმონ ჭოლოკავამ, საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.**

ბიურომ გადაწყვიტა:

აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს 2021 წლის 26 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-10 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 10 ბიუროს წევრი

მ ო ს მ ი ნ ე ს: 7. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

განკარგულების პროექტი წარმოადგინა: **მირიან ფულარიანმა - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.**

საკრებულოს კომისიის დასკვნა ბიუროს წევრებს გააცნო- **სიმონ ჭოლოკავამ, საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.**

ბიურომ გადაწყვიტა:

აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს 2021 წლის 26 თებერვლის სხდომის დღის წესრიგში.

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე- 10 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 10 ბიუროს წევრი

მ ო ს მ ი ნ ე ს: 8. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საწყისი სააუქციონო ყოველწლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ.

განკარგულების პროექტი წარმოადგინა: **მირიან ფულარიანმა - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.**

საკრებულოს კომისიის დასკვნა ბიუროს წევრებს გააცნო- **სიმონ ჭოლოკავამ, საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.**

ბიურომ გადაწყვიტა:

აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს 2021 წლის 26 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე- 10 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 10 ბიუროს წევრი

ბიუროს სხდომამ გადაწყვიტა:

საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელიც გაიმართება 2021 წლის 26 თებერვალს 10:00 საათზე, სხდომის დღის წესრიგში შეტანილი იქნეს შემდეგი საკითხები:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში: „მუნიციპალიტეტის 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულების შესახებ“.

მომხს. ნინო მებურიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი სპეციალისტი

2. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N 42 2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. გვანცა გრძელიძე- საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“, ფრაქციის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

მომხს. გვანცა გრძელიძე- საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ბაღდათელები მომავლისათვის“ ფრაქციის რეგისტრაციის შესახებ.

მომხს. გვანცა გრძელიძე- საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

5. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრისა და საპრივატიზაციო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივლისის N42 34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი

6. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი

7. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი

8. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საწყისი სააუქციონო ყოველწლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

ნოდარ გიორგიძე